

სკოლის ბავშვთა დაცვის პოლიტიკა და პროცედურები



სკოლის ბავშვთა დაცვის პოლიტიკა და პროცედურები

„სკოლის (საგანმანათლებლო დაწესებულების) ბავშვთა დაცვის პოლიტიკა და პროცედურები“ მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „უსაფრთხო სკოლა, უსაფრთხო ბავშვობა” ფარგლებში.

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ და მასში წარმოდგენილი მასალა არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ თვალსაზრისს. პასუხისმგებლობა მასალის შინაარსზე ეკისრება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდს.

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი მადლობას უხდის სსიპ ქალაქ თბილისის №123 საჯარო სკოლის, სსიპ ქალაქ ბათუმის №2 საჯარო სკოლის და ბათუმის საერო ელიტარული სკოლა „გორდას“ მოსწავლეებს, მათ მშობლებს, მასწავლებლებს და ადმინისტრაციას პროექტის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობისთვის.

საავტორო უფლება
Copyright © 2016 საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი

დიზაინი: გიორგი დოლიძე, მხატვარი-დიზაინერი

წინასიტყვაობა

ბავშვზე ძალადობა გლობალური პრობლემაა და იგი ბავშვის ფუნდამენტური უფლების სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს. ბავშვზე ძალადობის შემთხვევები გავრცელებულია საქართველოშიც. დღეს დასამალი არაა, რომ ბავშვების დიდი რაოდენობა ძალადობას განიცდის, ამასთან, ხშირად სწორედ იმ ადამიანებისაგან, რომლებმაც ის უნდა დაიცვან.

ბავშვი ცხოვრების დიდ ნაწილს სკოლაში ატარებს. იგი სკოლაში განათლებას იღებს. სკოლა მის აღზრდასა და უსაფრთხოებაზე ზრუნავს. ბავშვს სკოლაში თანაკლასელები და მეგობრები ჰყავს. თანატოლებთან ურთიერთობა ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, სკოლამ უნდა ხელი შეუწყოს ბავშვში ისეთი თვისებების განვითარებას, როგორიცაა მეგობრობა, თანაგრძნობა, მხარდაჭერა, პრობლემის არაძალადობრივი გზით გადაჭრა, ერთმანეთზე ზრუნვა და სხვა. ბავშვის აღზრდასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა, მათთვის ისეთი საკითხების სწავლებასაც გულისხმობს, რაც მათ საკუთარი და მეგობრის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაეხმარებათ და მნიშვნელოვანია სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოსაყალიბებლად.

სკოლას უდიდესი როლი და პასუხისმგებლობა აკისრია ბავშვზე ძალადობის პრევენციის და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დახმარების საკითხში და ეს პასუხისმგებლობა და როლი თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც სკოლაში, ისე ოჯახში ბავშვზე ძალადობის შემთხვევებში.

ის ქვეყნები, რომლებსაც სკოლაში და ოჯახში ძალადობის, ბავშვზე ძალადობის პრევენციის და ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, დიდ როლს ანიჭებენ ბავშვების ჩართულობას ბავშვთა დაცვის მთელ პროცესში. ასევე, დიდ როლს თამაშობენ თვით მშობლები. მაგრამ უდაო, რომ სკოლას სჭირდება ბავშვთა დაცვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვზე ძალადობის პრევენციის და ბავშვთა დახმარების პროცესების სისტემატიზაციას და ორგანიზებულობას, რასაც საბოლოო ჯამში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვამდე მივყავართ.

თქვენს წინაშეა, ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული დოკუმენტი - „სკოლის (საგანმანათლებლო დაწესებულების) ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“ და „სკოლის (საგანმანათლებლო დაწესებულების) ბავშვთა დაცვის პროცედურები“. „სკოლის (საგანმანათლებლო დაწესებულების) ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“ აღწერს სკოლის ფასეულობებს, პრინციპებს და ასევე მოიცავს ქცევის კოდექსს. „სკოლის (საგანმანათლებლო დაწესებულების) ბავშვთა დაცვის პროცედურების“ მიზანია განსაზღვროს ბავშვზე (მოსწავლეზე) ძალადობის შემთხვევების ამოცნობის და რეაგირების წესები. ორივე დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

წინამდებარე პუბლიკაცია დოკუმენტები შემუშავებული იქნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „უსაფრთხო სკოლა, უსაფრთხო ბავშვობის“ ფარგლებში. ამ პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, რომელსაც ძალადობისგან ბავშვთა დაცვის სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. პროექტის საერთაშორისო პარტნიორები არიან Defence for Children – ECPAT NL და ვილნიუსის ბავშვთა დახმარების ცენტრი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ დოკუმენტის და პროექტის ფარგლებში მომზადებული სხვა მასალების შემუშავების პროცესში.

წინამდებარე პუბლიკაცია „სკოლის (საგანმანათლებლო დაწესებულების) ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“ და „სკოლის (საგანმანათლებლო დაწესებულების) ბავშვთა დაცვის პროცედურები“ პროექტის ფარგლებში შექმნილი სხვა პუბლიკაციების ნაწილს წარმოადგენს და მათთან ერთობლიობაში სკოლას, სკოლის თანამშრომლებს, ბავშვს და მშობელს ბავშვზე ძალადობის თავიდან აცილების და ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში ეხმარება.

ეს პუბლიკაციებია:

1. მოსწავლის წიგნი „ვსწავლობ, ვფიქრობ, ვმოქმედებ - ბავშვთა დაცვის და უსაფრთხოების გაკვეთილები“. მოსწავლის წიგნი ტექსტების და სავარჯიშოების კრებულია, რომელიც გამოიყენება როგორც საკლასო სამუშაოებისთვის, ასევე კლასგარეშე, მშობლებთან და ოჯახის წევრებთან კითხვისა და მსჯელობისთვის.

2. მასწავლებლის სახელმძღვანელო, რომლის მეშვეობით მასწავლებელი ეფექტურად წარმართავს ბავშვთა დაცვის და უსაფრთხოების გაკვეთილებს.


3. საკითხავი მასალა მშობლებისთვის „დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან“ ეხმარება მშობელს როგორ ასწავლოს შვილებს გარშემომყოფებთან ურთიერთობა, სხვადასხვა გარემოში მართებულად მოქმედება და წარმოქმნილი სირთულეების დაძლევა. მშობლებს უმარტივებს შვილებთან საუბრებს ისეთ ფაქიზ და რთულ საკითხებზე, როგორიცაა ბავშვზე ძალადობა და ძალადობის თავიდან აცილება.

სკოლაში უსაფრთხო და არაძალადობრივი გარემოს შესაქმნელად, მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს ბავშვთა დაცვის პოლიტიკა და პროცედურები, ისევე როგორც სასწავლო პროგრამა ბავშვებისთვის და ამ პროცესში მშობლებთან აქტიური თანამშრომლობა.

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი მადლობას უხდის სსიპ ქალაქ თბილისის №123 საჯარო სკოლის, სსიპ ქალაქ ბათუმის №2 საჯარო სკოლის და ბათუმის საერო ელიტარული სკოლა „გორდას“ მოსწავლეებს, მათ მშობლებს, მასწავლებლებს და ადმინისტრაციას პროექტის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობისთვის.

ლია სარალიძე
აღმასრულებელი დირექტორი
საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი

სკოლის (საგანმანათლებლო დაწესებულების) ბავშვთა დაცვის პოლიტიკა





სკოლის (საგანმანათლებლო დაწესებულების) ბავშვთა დაცვის პოლიტიკა

ჩვენი ფასეულობები და პრინციპები

- ბავშვზე ძალადობა დაუშვებელია! ბავშვის მიმართ ნებისმიერი ძალადობა ბავშვის უფლებების დარღვევაა;
- ყველა ბავშვს აქვს თანაბარი უფლება, იყოს ძალადობისგან და ექსპლუატაციისგან დაცული;
- ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, დავიცვათ ბავშვები, რომლებთანაც ვმუშაობთ;
- ჩვენ ვიცავთ ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი და შეხედულებები, რომლებსაც ვითვალისწინებთ ბავშვის ბედთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას;
- ჩვენ, ბავშვთა დაცვის პროცესში, ვთანამშრომლობთ მშობლებთან, ბავშვზე მზრუნველებთან და სხვა პროფესიონალებთან;
- ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებს, თავიანთი პროგრამების განხორციელების დროს, ეკისრებათ ვალდებულება, იხელმძღვანელონ ბავშვთა დაცვის პოლიტიკით და სტანდარტებით.

განმარტება

ბავშვზე ძალადობა და არასათანადო მოპყრობა გულისხმობს ნდობით აღჭურვილი, ძალაუფლების ან პასუხისმგებლობის მქონე პირის მიერ განხორციელებულ ფიზიკურ, ემოციურ და/ან სექსუალურ ძალადობას, უგულებელყოფას ან უყურადღებობას, კომერციული ან სხვა მიზნით ექსპლუატაციას, რასაც მოაქვს რეალური ან პოტენციური ზიანი ბავშვის ჯანმრთელობის, განვითარების, გადარჩენისა ან ღირსებისთვის.[1]

რას გავაკეთებთ

ჩვენ დავიცავთ ბავშვებს ძალადობისგან შემდეგი საშუალებებით:

ცნობიერება: უზრუნველვყოფთ მოსწავლეების, თანამშრომლების და სხვა ადამიანების ცნობიერების ამაღლებას ბავშვზე ძალადობის საკითხების შესახებ.

პრევენცია: უზრუნველვყოფთ, მინიმუმამდე შევამციროთ ბავშვზე ძალადობის რისკები, როგორც მოსწავლეების და თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებით, ისე – მათი უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მეშვეობით.

შეტყობინება: უზრუნველვყოფთ, მოსწავლეებმა, თანამშრომლებმა და სხვა ადამიანებმა ზუსტად იცოდნენ, როგორ მოიქცნენ, როდესაც საქმე ექნებათ ბავშვის უსაფრთხოების დაცვის შემთხვევასთან.

რეაგირება: უზრუნველვყოფთ, რომ ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში, მისი დახმარების და დაცვისთვის გატარდება საჭირო ზომები.

კონფიდენციალურობა: ჩვენ დავიცავთ ბავშვის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

[1] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტება, 1999

ქცევის კოდექსი

სკოლის ყველა თანამშრომელი იღებს ვალდებულებას:

- ბავშვთან ურთიერთობისას მისი მიმართვა, გამონათქვამი, ქცევა არ იქნება ბავშვისთვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანის მომტანი;
- არასდროს მიმართავს მოსწავლის ფიზიკურ დასჯას - დისციპლინარულ, აღმზრდელობით ზომად არასდროს გამოიყენებს ფიზიკურ ძალას და არ მიმართავს ისეთ ქცევებს, როგორიცაა, მაგალითად, დარტყმა, თმის მოქაჩვა, ყურის აწევა, სილის გაწვნა, ჩქმეტა, ძლიერი შენჯღრევა და სხვა;
- დაიცავს ბავშვს ძალადობისგან და ბავშვზე ძალადობის შემთხვევების დროს მოახდენს რეაგირებას სკოლის ბავშვთა დაცვის პროცედურების შესაბამისად;
- ნებისმიერი საქმიანობის ორგანიზებისას, უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და ძალადობისგან დაცვას; გააცნობიერებს საფრთხის შემცველ სიტუაციებს და შეძლებს მათ მართვას;
- ძალისხმევას მიმართავს როგორც ძალადობის ნებისმიერი ფორმის აღკვეთისკენ, ამავდროულად, მოსწავლეთა პოზიტიური ქცევის წახალისებისა და განმტკიცებისკენ;
- მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს, აქტიურად ჩაერთონ პოზიტიური გარემოს, არაძალადობრივი ცნობიერების და ღირებულებების ჩამოყალიბებისკენ მიმართულ ყველა აქტივობაში;
- გააძლიერებს ბავშვებს - მათთან ერთად განიხილავს ბავშვთა უფლებებს, იზრუნებს, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ საკუთარი და სხვა ადამიანების უფლებების და პიროვნების პატივისცემა, ერთად იმსჯელებენ პრობლემის მოგვარების გზების შესახებ;
- ბავშვის დაცვის პროცესში იხელმძღვანელებს მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ყოველთვის მოისმენს და გაიზიარებს ბავშვის შეხედულებებს და სურვილებს;
- ძალადობისგან ბავშვის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ითანამშრომლებს ბავშვის მშობლებთან, ბავშვზე მზრუნველ პირებთან, სხვა პროფესიონალებთან;
- არ დაუშვებს სკოლაში კომპიუტერის, მობილური ტელეფონების, ვიდეო/ციფრული კამერების და სხვა ტექნიკური მოწყობილობების არამიზნობრივ, შეუსაბამო გამოყენებას, მათ შორის, ბავშვის ღირსების შემლახავი, უხამსი ფოტოების ან ვიდეომასალის ნახვის, გადაღების, შექმნის, ჩამოტვირთვის ან გავრცელების შესაძლებლობას.
- პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობით და ტაქტით მოეკიდება შემთხვევებს, როდესაც მოსწავლე, შესაძლოა, აღმოჩნდეს ოჯახში ან საზოგადოების მხრიდან ძალადობის მსხვერპლი.

სკოლის ყველა მოსწავლე ილებს ვალდებულებას:

- სხვა მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას, მისი მიმართვა, გამონათქვამი, ქცევა არ იქნება ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანის მომტანი;
- ძალადობის საფრთხის შემთხვევაში, საკუთარი თავის ან სხვა ბავშვის დასაცავად, მიმართავს სკოლის ბავშვთა დაცვის პროცედურების მიხედვით განსაზღვრულ პირს ან იმ უფროს ადამიანს სკოლაში, რომელსაც თავად ენდობა;
- ნებისმიერ აქტივობაში ჩართვისას, დაიცავს უსაფრთხოების წესებს და საფრთხის შემცველ სიტუაციებში იმოქმედებს სკოლაში შეთვისებული შესაბამისი ცოდნის და უნარ-ჩვევების ფარგლებში;
- სხვა მოსწავლეებთან ურთიერთობისას, მისი მეტყველება, ქცევა და ემოციები მიმართული იქნება კეთილგანწყობილი ურთიერთობების, მშვიდობიანი და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებისკენ, კონფლიქტური სიტუაციების არიდებისაკენ;
- მონაწილეობას მიიღებს მეგობრული გარემოს, არაძალადობრივი შეხედულებების და ღირებულებების ჩამოყალიბებისკენ მიმართულ სასკოლო აქტივობებში;
- სხვა ბავშვებთან და მასწავლებლებთან ერთად იმსჯელებს ბავშვთა უფლებების და ვალდებულებების, პრობლემის მოგვარების გზების შესახებ, მოისმენს და პატივს სცემს სხვის აზრს, საკუთარ აზრებს და შეხედულებებს ყოველთვის გამოხატავს სხვა ადამიანების უფლებების შელახვის გარეშე;
- დაიცავს და გამოიყენებს უფლებას, გამოთქვას საკუთარი შეხედულებები და სურვილები იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც უშუალოდ მას ეხება;
- არ გამოიყენებს კომპიუტერს, მობილურ ტელეფონს, ვიდეო/ციფრულ კამერებს და სხვა ტექნიკურ საშუალებებს სხვა ბავშვის ან უფროსი ადამიანის ღირსების შემლახავი, უხამსი ფოტოების ან ვიდეომასალის ნახვის, გადაღების, შექმნის, ჩამოტვირთვის ან გავრცელების მიზნით.



როგორ უზრუნველვყოფთ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას:

- ბავშვთა დაცვის პოლიტიკას და ქცევის კოდექსს იცნობს და ეთანხმება სკოლის ყველა თანამშრომელი, მოსწავლე, მშობელი/მეურვე, სხვა პროფესიონალები და ორგანიზაციები, რომლებიც სკოლასთან თანამშრომლობენ.
- სკოლის ბავშვთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი და ქცევის კოდექსი ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, მოსწავლისთვის, მშობელი/მეურვის, სხვა პროფესიონალებისა და ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის, რომლებიც სკოლასთან თანამშრომლობს;
- სკოლას აქვს სკოლის ბავშვთა დაცვის პროცედურები, რომელიც განსაზღვრავს ბავშვზე ძალადობის შემთხვევების ამოცნობის და რეაგირების წესებს; ბავშვთა დაცვის პროცედურებს იცნობს და იცავს სკოლის ყველა მოსწავლე, თანამშრომელი, მშობელი/მეურვე, სტუმარი, სხვა პროფესიონალები და ორგანიზაციები, რომლებიც სკოლასთან თანამშრომლობენ;
- სკოლა არ დაუშვებს სკოლაში მოსწავლის ფიზიკურ დასჯას და ფიზიკური ძალის გამოყენებას დისციპლინარული ზომის სახით;
- სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებთან ღია ურთიერთობასა და აქტიურ მოსმენაზე, ყველა ბავშვის მიმართ თანასწორ მიდგომასა და აზრის გამოთქმის საშუალების მიცემაზე, იმგვარი მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე, სადაც ნებისმიერი საკითხის განხილვა და გაზიარება იქნება შესაძლებელი;
- სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვის და გააქტიურების ინიცირებას უსაფრთხო და არაძალადობრივი გარემოს შექმნის პროცესში;
- სკოლა გამოხატავს მხარდაჭერას ყველა მოსწავლის, მშობლის, მზრუნველის, მასწავლებლის, თანამშრომლის, სტუმრის მიმართ, თუკი ისინი გამოთქვამენ დაეჭვებას, წუხილს ბავშვზე განხორციელებული შესაძლო ძალადობის შესახებ;
- სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლესთან, მშობელთან, მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა ცოდნის და უნარების განვითარებაზე ბავშვზე ძალადობის საკითხებში, თანამშრომლის სამუშაო პოზიციის და კომპეტენციის გათვალისწინებით;
- სკოლა ხელს უწყობს მშობელთა და მოწვეულ პროფესიონალთა ჩართვას ყველა იმ ინიციატივასა და აქტივობაში, რომელიც მიმართული იქნება სკოლაში ბავშვის უსაფრთხოებისა და მზრუნველი, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნისკენ;
- სკოლის თანამშრომლების, მოწვეული სპეციალისტების და სხვათა შერჩევისას, ითვალისწინებს ბავშვებთან მუშაობისთვის მათ შესაბამისობას;
- სკოლის ბავშვთა დაცვის პოლიტიკით და ქცევის კოდექსით დადგენილი ნორმების დარღვევის, დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევთა მიმართ გამოიყენება დისციპლინური სასჯელი და/ან მოხდება სკოლასთან მათი კავშირის შეწყვეტა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.



სკოლის (საგანმანათლებლო დაწესებულების) ბავშვთა დაცვის პროცედურები

სკოლის (საგანმანათლებლო დაწესებულების) ბავშვთა დაცვის პროცედურები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. დოკუმენტის მიზანი და ამოცანები

1.1.1. სკოლის ბავშვთა დაცვის პროცედურების მიზანია განსაზღვროს მოსწავლეზე ძალადობის შემთხვევების ამოცნობის და რეაგირების წესები.

1.1.2. სკოლის ბავშვთა დაცვის პროცედურების ამოცანებია ძალადობის ეჭვის, საფუძვლიანი ეჭვის და გადაუდებელი მდგომარების დროული აღმოჩენა და შესაბამისი რეაგირების უზრუნველყოფა.

1.1.3. სკოლის ბავშვთა დაცვის პროცედურები შესაძლებლობას აძლევს სკოლის ყველა მოსწავლეს, მშობელს, მზრუნველს, მასწავლებელს, თანამშრომელს, სტუმარს, სხვა ნებისმიერ პირს, თუკი ისინი გამოთქვამენ დაეჭვებას, წუხილს ბავშვზე განხორციელებული შესაძლო ძალადობის შესახებ, იმოქმედონ ბავშვის დაცვის და მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

1.1.4. სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებთან ღია ურთიერთობასა და აქტიურ მოსმენაზე, ყველა ბავშვის მიმართ თანასწორ მიდგომასა და აზრის გამოთქმის საშუალების მიცემაზე და იმგვარი მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე, სადაც ნებისმიერი საკითხის განხილვა და გაზიარება იქნება შესაძლებელი.

1.2. სამართლებრივი საფუძვლები

წინამდებარე დოკუმენტის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის, გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის N152/ნ – N496 – N45/ნ ერთობლივი ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების“ შესახებ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ პროცედურების მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. **ბავშვი** — 18 წლამდე ასაკის პირი;

2. **ძალადობა** — პირის მიერ ბავშვის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით;

3. **ფიზიკური ძალადობა** — ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის და განვითარების მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

4. **ფსიქოლოგიური ძალადობა** — შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას და რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს;

5. **უგულებელყოფა** — მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე

6. **იძულება** — ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

7. **სექსუალური ძალადობა** — ბავშვთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება ბავშვის მონაწილეობით;

8. **ეკონომიკური ძალადობა** — ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

9. **გადაუდებელი მდგომარეობა** — მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი ან დაინვალიდება;

10. **ბავშვის ოჯახის წევრი** — ბავშვის დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), დედინაცვალი/მამინაცვალი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მშვილებელი, მშვილებელის მეუღლე, ნაშვილები, მეურვე/მზრუნველი;

11. **ბავშვზე ძალადობის ეჭვი** — ეჭვის წყარო შეიძლება იყოს ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთაგან ერთ-ერთი:

ა) ბავშვზე სხეულის დაზიანებების ნიშნების არსებობა (სილურჯეები, ახალი ჭრილობები, ახალი ნაკაწრები, ახალი იარები, გაძნელებული სიარული, შეშუპებული სხეულის ნაწილები, მოტეხილობები);
ბ) ბავშვის საეჭვო ქცევა (ბავშვი აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სკოლაში სიარული, არარეგულარულად დადის სკოლაში, არ სწავლობს, მოუვლელია, არ უნდა სახლში დაბრუნება, ასაკის შეუფერებლად სექსუალურია, აქვს სექსის შესახებ ასაკისთვის შეუფერებელი ცოდნა, რადიკალურად შეეცვალა ხასიათი, ვერ ხსნის ტრავმის მიზეზებს).

12. **საფუძვლიანი ეჭვი** — ეჭვი ითვლება საფუძვლიანად შემდეგ შემთხვევებში:
ა) ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
ბ) ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
გ) ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მშობლის არაადექვატური ქცევა, როგორიცაა:
გ.ა) ბავშვის ტრავმის სიმძიმე არ შეესაბამება ტრავმის მიღების შესახებ მშობლის მონათხრობს;
გ.ბ) მშობლის მონათხრობის დეტალები მუდმივად იცვლება;
გ.გ) მშობელი არაადექვატურად რეაგირებს ბავშვის ტრავმაზე, ტრავმას აფასებს უფრო მსუბუქად, ვიდრე არის;
გ.დ) ტრავმის მიზეზის ახსნა არ ხდება;
დ) ბავშვის საეჭვო ქცევის არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
ე) ბავშვის საეჭვო ქცევის არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
ვ) ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა; ზ) მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს.

მუხლი 3. სკოლის ვალდებულება და უფლებამოსილება

3.1. ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის მიზნით სკოლა:
ა) ვალდებულია გამოავლინოს ბავშვზე ძალადობის შემთხვევა;
ბ) უფლებამოსილია, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზოს შემთხვევა და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პოლიციისა თუ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომ-სააგენტოს) ინფორმირება;
გ) სააგენტოსთან თანამშრომლობით განახორციელოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა.
3.2. სკოლა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების და უფლებამოსილებების განხორციელებისას, ხელმძღვანელობს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების, სკოლის ბავშვთა დაცვის პროცედურების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
3.3. საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, სკოლა უფლებამოსილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული ყველა სახელმწიფო სტრუქტურიდან და პროფესიონალისგან გამოითხოვოს ინფორმაცია თავისი მოსწავლის შესახებ.
3.4. სკოლა ვალდებულია ითანამშრომლოს ბავშვთა დაცვის (რეფერირების) პროცედურაში ჩართულ სუბიექტებთან;

მუხლი 4. სკოლის ბავშვთა დაცვის პროცედურებში ჩართული სუბიექტები და მათი უფლებამოსილებები

4.1. სკოლაში ბავშვთა დაცვის პროცედურებში ჩართული სუბიექტებია მანდატური, ყველა თანამშრომელი, მოსწავლე, მშობელი/მეურვე, სხვა პროფესიონალები, რომლებიც სკოლასთან თანამშრომლობენ;

4.2. სკოლაში ბავშვზე ძალადობის გამოვლენასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელია სკოლის ბავშვთა დაცვის ჯგუფი;

4.3. სკოლის ბავშვთა დაცვის ჯგუფის წევრები არიან: ადმინისტრაციის წარმომადგენელი (მაგ. სკოლის დირექტორი ან დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, მანდატური, ექიმი, ფსიქოლოგი.

4.4. სკოლის ბავშვთა დაცვის პროცედურების შესრულებას და სკოლის ბავშვთა დაცვის ჯგუფის მუშაობას ხელმძღვანელობს ბავშვთა დაცვის პასუხისმგებელი პირი (მაგ. სკოლის დირექტორი ან დირექტორის მოადგილე ან მანდატური).

მუხლი 5. სკოლის ბავშვთა დაცვის პროცედურების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის და ბავშვთა დაცვის ჯგუფის წევრების დანიშვნა

5.1. სკოლის ბავშვთა დაცვის პროცედურების შესრულების მიზნით, სკოლის დირექტორი ბრძანებით ნიშნავს ბავშვთა დაცვის პასუხისმგებელ პირს (შემდგომში — პასუხისმგებელი პირი).

5.2. სკოლის ბავშვთა დაცვის პროცედურების შესრულების მიზნით, სკოლის დირექტორი ბრძანებით ნიშნავს სკოლის ბავშვთა დაცვის ჯგუფის წევრებს და განსაზღვრავს მათი მუშაობის წესს.

მუხლი 6. ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა

6.1. **გადაუდებელი მდგომარეობა**

6.1.1. **სკოლის მანდატური, ყველა თანამშრომელი, მშობელი/მეურვე, სხვა პროფესიონალები,** რომლებიც სკოლასთან თანამშრომლობენ, ბავშვზე ძალადობის შედეგად განვითარებული გადაუდებელი მდგომარეობის შემთხვევაში:

ა) დაუყოვნებლივ ატყობინებს პოლიციას და საჭიროების შემთხვევაში იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას;

ბ) დაუყოვნებლივ აცნობებს პასუხისმგებელ პირს;

6.1.2. **პასუხისმგებელი პირი** გადაუდებელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ აცნობოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სატელეფონო ზარის მეშვეობით და არაუგვიანეს 24 საათისა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება (შეავსოს მიმართვის ბარათი — ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დოკუმენტის დანართი №2)

ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს მშობელს/მეურვეს;

დ) არაუგვიანეს 24 საათისა ბავშვთა დაცვის ჯგუფთან ერთად განიხილოს შემთხვევა.

6.2. **ბავშვზე ძალადობის ეჭვი**

6.2.1. სკოლის მანდატური, ყველა თანამშრომელი, მშობელი/მეურვე, სხვა პროფესიონალები, რომლებიც სკოლასთან თანამშრომლობენ, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ვალდებულია მიმართოს პასუხისმგებელ პირს და/ან კლასის დამრიგებელს;

6.2.2. **ბავშვზე ძალადობის ეჭვის შესახებ ინფორმაციის მიღების შედეგ:**

ა) **პასუხისმგებელი პირი,** ეჭვის საფუძვლიანობის დასადასტურებლად, ეჭვის გაჩენიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში:

- გააანალიზებს მიღებულ ინფორმაციას;
- გაესაუბრება მოსწავლის კლასის დამრიგებელს;
- მოიწვევს ბავშვთა დაცვის ჯგუფს;
- საჭიროების შემთხვევაში გაესაუბრება მოსწავლეს;

ბ). **დამრიგებელი,** ეჭვის გაჩენიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში, ეჭვის საფუძვლიანობის დასადასტურებლად:

- გაესაუბრება მოსწავლეს;
- მოიპოვებს შემთხვევის შესახებ დამატებით ინფორმაციას (გაესაუბრება მშობელს/მეურვეს, შემთხვევასთან დაკავშირებულ სხვა პირებს, საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ოჯახში ვიზიტს და სხვა);
- ეჭვის საფუძვლიანობის შემთხვევაში, აწვდის მიღებულ ინფორმაციას პასუხისმგებელ პირს;

გ) **ბავშვთა დაცვის ჯგუფი,** ეჭვის საფუძვლიანობის დასადასტურებლად:

- განიხილავს შემთხვევას (შემთხვევის კონფერენცია), შეიმუშავებს ინტერვენციის გეგმას და ატყობინებს მშობელს/მეურვეს, ბავშვის უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით;
- საჭიროების შემთხვევაში გეგმავს დამატებით ღონისძიებებს სკოლის პროფესიული რესურსების (მაგ. ექიმი, მედდა, ფსიქოლოგი), მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის ან სხვა შესაბამისი მომსახურებების გამოყენებით;
- ახორციელებს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების მონიტორინგს;
- ეჭვის საფუძვლიანობის შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას შემთხვევის გადამისამართების შესახებ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად.

6.3. საფუძვლიანი ეჭვი

6.3.1. **ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის დადგენის შემთხვევაში:**

ა). პასუხისმგებელი პირი

- არაუგვიანეს 24 საათისა, აცნობებს სოციალური მომსახურების სააგენტოს სატელეფონო ზარის მეშვეობით და გაუგზავნის წერილობით შეტყობინებას (მიმართვის ბარათი-დანართი №2. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად);
- დაავალოს დამრიგებელს, რომ არაუგვიანეს 24 საათისა, შეატყობინოს მშობელს/მეურვეს, ბავშვის უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით;
- დაავალოს დამრიგებელს, რომ არაუგვიანეს 24 საათისა, მოსწავლეს, მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, აცნობებს გაგზავნილი შეტყობინების თაობაზე და მასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ინტერვენციის შესახებ;

შენიშვნა:

ა). თუ კლასის დამრიგებელთან დაკავშირება ვერ ხერხდება, იღებს პასუხისმგებლობას მშობლის/მეურვის და მოსწავლის შეტყობინების შესახებ;

ბ). თუ საფუძვლიანი ეჭვი არ იყო განხილული ბავშვთა დაცვის ჯგუფის მიერ, არაუგვიანეს 24 საათისა, ბავშვთა დაცვის ჯგუფთან ერთად განიხილავს შემთხვევას;

ბ). **დამრიგებელი:**

- აწვდის მიღებულ ინფორმაციას პასუხისმგებელ პირს;

- არაუგვიანეს 24 საათისა, აცნობებს სოციალური მომსახურების სააგენტოს სატელეფონო ზარის მეშვეობით, თუ ამ პერიოდისთვის პასუხისმგებელ პირთან დაკავშირება ვერ ხერხდება;
- არაუგვიანეს 24 საათისა, აცნობებს მშობელს/მეურვეს, ბავშვის უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით (თუ ეს არ გაუკეთებია პასუხისმგებელ პირს);
- არაუგვიანეს 24 საათისა, მოსწავლეს, მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, აცნობებს გაგზავნილი შეტყობინების თაობაზე და მასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ინტერვენციის შესახებ (თუ ეს არ გაუკეთებია პასუხისმგებელ პირს);

გ). **სკოლის მანდატური, ყველა თანამშრომელი, მშობელი/მეურვე, სხვა პროფესიონალები,** რომლებიც სკოლასთან თანამშრომლობენ, ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში

- აწვდის ინფორმაცია პასუხიმგებელ პირს და/ან კლასის დამრიგებელს;
- არაუგვიანეს 24 საათისა, აცნობებს სოციალური მომსახურების სააგენტოს სატელეფონო ზარის მეშვეობით, თუ ამ პერიოდისთვის პასუხისმგებელ პირთან და/ან კლასის დამრიგებელთან დაკავშირება ვერ ხერხდება;

6.4. **ბავშვზე ძალადობის პრევენცია**

6.4.1. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს, რომ სკოლის ბავშვთა დაცვის პოლიტიკას და ქცევის კოდექსს გაეცნოს სკოლის ყველა თანამშრომელი, მოსწავლე, მშობელი/მეურვე, სხვა პროფესიონალები და ორგანიზაციები, რომლებიც სკოლასთან თანამშრომლობენ.

6.4.2. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს, რომ სკოლის ბავშვთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი და ქცევის კოდექსი საჯარო და ხელმისაწვდომი იყოს ყველა თანამშრომლისთვის, მოსწავლისთვის, მშობელი/მეურვის, სხვა პროფესიონალებისა და ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის, რომლებიც სკოლასთან თანამშრომლობს;

6.4.3. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს, ბავშვთა დაცვის პროცედურებს იცნობდეს და იცავდეს სკოლის ყველა მოსწავლე, თანამშრომელი, მშობელი/მეურვე, სტუმარი, სხვა პროფესიონალები და ორგანიზაციები, რომლებიც სკოლასთან თანამშრომლობენ;

6.4.4. სკოლის დირექცია ზრუნავს თანამშრომელთა ცოდნის და უნარების განვითარებაზე ბავშვზე ძალადობის საკითხებში, თანამშრომლის სამუშაო პოზიციის და კომპეტენციის გათვალისწინებით;

6.4.5. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებისთვის იმ საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარებას, რომელიც ხელს უწყობს ბავშვზე ძალადობის არიდებას, აღკვეთას, უსაფრთხოებას და კონფლიქტების არაძალადობრივი გზებით მოგვარებას;

6.4.6. სკოლის დირექცია ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას და გააქტიურებას ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ სასკოლო ღონისძიებებში;

6.4.7. სკოლის დირექცია ხელს უწყობს მშობელთა და მოწვეულ პროფესიონალთა ჩართვას ყველა იმ ინიციატივასა და აქტივობაში, რომელიც მიმართული იქნება სკოლაში ბავშვის უსაფრთხოებისა და მზრუნველი, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნისკენ;

6.4.8. სკოლის დირექცია, სკოლის თანამშრომლების, მოწვეული სპეციალისტების და სხვათა შერჩევისას, ითვალისწინებს ბავშვებთან მუშაობისთვის მათ შესაბამისობას.

6.5. **სექტორებს შორის თანამშრომლობა და მონიტორინგი**

6.5.1. სკოლა ვალდებულია ითანამშრომლოს ბავშვთა დაცვის (რეფერირების) პროცედურაში ჩართულ სხვა სუბიექტებთან:

6.5.1.1. თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან, აწვდის მის ხელთ არსებულ ინფორმაციას და უგზავნის შეტყობინებას ახლად აღმოჩენილ გარემოებებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

6.5.1.2. მოძალადის მიერ ბავშვთან ურთიერთობის დამყარების შესახებ აცნობოს პოლიციას, იმ

შემთხვევაში, თუ ბავშვის დაცვის მიზნით გამოწერილია შემაკავებელი ან დამცავი ორდერი და სკოლა გახდება მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის მოწმე;

6.5.1.3. თანამშრომლობს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ბავშვის ფსიქო-რეაბილიტაციის და მეორადი ძალადობის პრევენციის მიზნით;

6.5.1.4. უზრუნველყოფს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის რეკომენდაციების შესრულებას;

6.5.2. სკოლა უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია ბავშვთა დაცვის (რეფერირების) პროცედურაში ჩართული სხვა სუბიექტებისაგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 7. **დოკუმენტაციის წარმოება და შენახვის წესი**

7.1. სკოლა ვალდებულია აწარმოოს ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დოკუმენტაციის არქივი:

7.1.1. **შემოსული შეტყობინებები**

- ბავშვზე ძალადობის შესახებ ზეპირი შეტყობინება რეგისტრირდება — შესაბამის ჟურ-
- ნალში;
- წერილობითი შეტყობინება რეგისტრირდება ცალ-ცალკე და მას რეგისტრაციისას ენიჭება სპეციალური კოდი;
- როგორც წერილობითი შეტყობინება, ისე ზეპირი, გადაეცემა ბავშვთა დაცვის პასუხისმგებელ პირს;
- შემთხვევის განხილვის (კონფერენციის) ოქმი და მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება წერილობით და ენიჭება რეგისტრაციის კოდი;

7.1.2. **გადამისამართებისას წარმოებული დოკუმენტაცია**

- სკოლიდან საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების სამმართველოში გაკეთებული გადამისამართების დოკუმენტაცია;
- სკოლიდან ბავშვთა დაცვის (რეფერირების) პროცედურაში ჩართულ სხვა სუბიექტებთან გაკეთებული გადამისამართების დოკუმენტაცია;
- ბავშვთა დაცვის (რეფერირების) პროცედურაში ჩართული სხვა სუბიექტებიდან ბავშვის შესახებ მიღებული უკუკავშირის დოკუმენტაცია.

7.1.3. **სკოლის თანამშრომლების ბავშვთან მუშაობისას წარმოებული დოკუმენტაცია**

- სკოლის ექიმის მიერ სამედიცინო ფორმაში უნდა აღიწეროს: მომართვის თარიღი და დრო; მოსწავლის სახელი, გვარი, კლასი; მოსწავლის ჩივილი; ექიმის მიერ ჩატარებული დათვალიერების და სამედიცინო კვლევის შესახებ ინფორმაცია, გაწეული დახმარება და დასკვნა;
- სკოლის ფსიქოლოგი აწარმოებს შესაბამის ჩანაწერს სკოლის ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ჟურნალში და/ან ფორმაში უნდა აღიწეროს: მომართვის თარიღი და დრო; მოსწავლის სახელი, გვარი, კლასი; მოსწავლის ჩივილი; ფსიქოლოგის მიერ ჩატარებული კვლევა, გაწეული დახმარება და დასკვნა; ფსიქოლოგი აღნიშნავს სკოლის წავლის ფსიქოლოგთან ვიზიტების შედეგად მდგომარეობის ცვლილებას;

7.2. სკოლა ვალდებულია ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის არქივი აწარმოოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

მუხლი 8. ბავშვთან გასაუბრების/შეხვედრის გარემო

8.1. ბავშვთან/შეხვედრის გასაუბრების გარემო უნდა იყოს:

- კომფორტული;
- მეგობრული;
- უსაფრთხო;
- იზოლირებული;

8.2. ბავშვთან გასაუბრება/ შეხვედრა არ უნდა გრძელდებოდეს შესვენების გარეშე 40 წუთზე მეტ ხანს; საუბრის დეტალები არ შეიძლება გახდეს საჯარო. აუცილებელია მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 9. ინფორმაციის კონფიდენციალურობა

9.1. ძალადობის მსხვერპლი მოსწავლის ვინაობა, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართულ შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებს შორის, სამსახურეობრივი საქმიანობების შესრულების მიზნით და დროს;

9.2. მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მოსწავლის მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენელისთვის, თუ მას არ აქვს შეზღუდული ან ჩამორთმეული მშობლის უფლება;

9.3. მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, მისი ასაკის, გონებრივი განვითარების და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით;

9.4. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლესთან, მშობელთან, მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;


9.5. სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით და ამ მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალობის წესი.

10. გარდამავალი დებულება

10.1 სკოლის ბავშვთა დაცვის პოლიტიკით და ქცევის კოდექსით დადგენილი ნორმების დარღვევისთვის, როგორც სკოლის თანამშრომლისთვის, ასევე სკოლის მოსწავლისთვის გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები;

10.2 სკოლაში თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული სკოლის ბავშვთა დაცვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა, საკონტაქტო ინფორმაცია, მისი სამუშაო ადგილი და საათები.





საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომ¬ლის მიზანია ხელი შეუწყოს ძალადობისაგან ბავშვთა დაცვას საქართველოში. ფონდს სწამს, რომ ბავშვს აქვს უფლება, გამოხატოს თავისი აზრი, წუხილი, მიიღოს დახმარება, თუნდაც უფროსების ჩარევის გარეშე.

ბავშვებს და უფროსებს, რომლებსაც ბავშვის ბედი აწუხებთ, შეუძლიათ დაგვირეკონ:
ბავშვთა დახმარების ხაზი 116 111

მისამართი:
ქ.თბილისი, ედიშერ მაღალაშვილის ქუჩა №4, ბინა №1
ტელ: (995 32) 2 421 422
ტელ/ფაქსი: (995 32) 2 421 422
ქ.ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა №47
ტელ: (995 422) 225830
ელ.ფოსტა: info@phmdf.ge
ვებ.გვერდი: www. phf.org.ge

ფეისბუკი: https://www.facebook.com/PublicHealthFoundationofGeorgia